ანა ლეთოდიანი

ფერთა რეცეფცია ტერენტი გრანელის ლირიკის მიხედვით

ფერითი სისტემების „ენა“ უძველესი პერიოდიდან არსებობს. მოდერნისტული ხელოვნების ზოგიერთ მიმდინარეობაში მხოლოდ ფერს ენიჭება მნიშვნელობა, როგორც ემოციის უმთავრეს გადმომცემს (მაგ., ფოვიზმი). ფერი ადამიანის ფსიქიკურ სამყაროში სპეციფიკურ ცვლილებას იწვევს. მისი ზემოქმედება ადამიანის ემოციებს, შემეცნებით პროცესებსა და, უპირველესად, აზროვნებას უკავშირდება. ფერს შეუძლია შექმნას თბილი, ან ცივი გარემო. ემპირიული დაკვირვებებით დასტურდება, რომ სხვადასხვა ფერით გარემოში ადამიანს სხვადასხვაგვარადაც კი „ეფიქრება“.

ფერს არაერთი თვალსაზრისით (ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის და სხვა) განიხილავენ. იგი არამხოლოდ ვიზუალურად განიცდება, მას, როგორც უკვე აღინიშნა, აქვს ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარი, ასევე, სიმბოლური მნიშვნელობა. ამდენად, აქტუალურია ფერსა და ადამიანის ფსიქიკას შორის კავშირის, ასევე ფერთა სიმბოლიზმის საკითხის კვლევა.

ხელოვნების სხვადასხვა დარგის, მათ შორის, მხატვრული ლიტერატურისათვის ფერი მნიშვნელოვანი ელემენტია. მას როგორც სამყაროს შეცნობისა და მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებას, ესთეტიკური დამოკიდებულებისა თუ ემოციის გამოხატვის ხერხს ხშირად მიმართავს. გვარეობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით იჩენს თავს ლირიკაში. ლიტერატურის ეს გვარი ადამიანის და სამყაროს ურთიერთობის სუბიექტურ ასახვას ემყარება, შესაბამისად, მასში ყველაზე მეტად ვლინდება ავტორის სამყაროსთან მიმართება, ასოციაციები, შთაბეჭდილებები თუ განწყობილებები. ამდენად, ფერთან დამოკიდებულების თვალსაზრისით მხატვრული, განსაკუთრებით კი, ლირიკული ნაწარმოებების შესწავლა ხელს უწყობს მათი თავისებურებების უფრო ღრმად გააზრებას, ავტორის სამყაროსადმი

დამოკიდებულების, მისი მსოფლაღქმის (Вежбицкая,1996: http://www.philology.ru/linguistics1/wierzbicka-96b.htm) შინაგანი მდგომარეობის გამოვლენას. შესაძლებელია იგი ნაწარმოების დაფარულ აზრზეც მიგვანიშნებდეს (Белый, 2015: http://az.lib.ru/b/belyj_a/text_13_1903_arabeski.shtml).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოდ გვეჩვენება ტერენტი გრანელის შემოქმედების შესწავლა ფერთა ფსიქოლოგიური თუ სიმბოლური მნიშვნელობის კუთხით. მისი ლირიკის მიხედვით ფერთა გააზრებისას ძირითადად: იტენის, კანდინსკის, ლუშერის თეორიებს დავეყრდნობით, ასევე გავითვალისწინებთ სხვა შეხედულებებსაც.

აღსანიშნავია, რომ გრანელი უხვად იყენებს ფერებს. ხშირად, ერთ ლექსში რამდენიმე ფერი ენაცვლება ერთმანეთს და სხვადასხვა დამოკიდებულებას, განწყობილებასა, თუ ემოციას გამოხატავს (უმეტესად, უარყოფითს). ამჯერად, ყურადღებას შევაჩერებთ იმ ფერებზე (რუხი, მტრედისფერი, ვარდისფერი), რომელთაც პოეტი იშვიათად მიმართავს. მათგან ვარდისფერი, ქრომატულ ფერთა კატეგორიას განეკუთვნება, რუხი და მტრედისფერი (რუხის ნაირსახეობა) აქომატულს.

თავდაპირველად, აქრომატულ ფერებს, რუხსა და მტრედისფერს შევეხებით.

ვასილ კანდინსკისა და მაქს ლუშერის თანახმად, რუხი უმოძრაოა, არ ხმიანობს, ნეიტრალურ, სასაზღვრო ფერად მიიჩნევა, არ აქვს გამოკვეთილი ხასიათი, არც დაძაბულობის ატმოსფეროს ქმნის, არც განტვირთვის

(Люшер: http://psytests.org/result?v=lus1K1ZuUnB&m=clr;

Кандинский,1910: http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-73.php).

ვასილი კანდინსკი ამ ფერს სიმშვიდესა და უიმედობასთან აკავშირებს (Кандинский,1910: http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-73.php).

იოჰანეს იტენი რუხს „მუნჯ“, „უნაყოფო“ ფერს უწოდებს, რომელიც იოლად იცვლება „მეზობელი“ კონტრასტული ტონებისა და ფერების ზემოქმედების შედეგად. (Иттен, https://colorscheme.ru/art-of-color/light-dark.html).

რუხ ფერს გრანელთან ვხვდებით ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილ ლექსში „ფიროსმანაშვილს“.

შენ დაგედევნა სამიკიტნო რკინის რაზებით,

ყალბი არღნებით გაწუხებდა ღამე წვიმაში,

არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე,

დაგდევდა ლანდი მთვარისაგან განაბრაზები.

ჩუმად გეწვია საოცრების **რუხი** ხაზები,

ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის მინაში,

შენ არ იცოდი დამშვიდებით ყოფნა ბინაში

და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით.

ლოცვით ამსხვრევდი ზიარებას სასაფლაოზე,

სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაზი,

ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ გაოცებს...

შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე.

ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხისამარა.

საშინელებამ უცნაურად დაგასამარა... (გრანელი, 1972: 5)

რუხი თეთრისა და შავის სინთეზის შედეგად მიღებული ფერია. იგი მელანქოლიის, სევდის, დარდის სიმბოლოა. როგორც ფერფლის ფერი, რუხი ხშირად ასოცირდება სიკვდილთან, გლოვასთან, სულთან

(Трессидер https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/532.php).

როგორც აღინიშნა, მხატვრულ ლიტერატურაში ფერს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, ნაწარმოებში ასახულ რეალობას გარკვეულ აზრობრივ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ, თუ სიმბოლურ დატვირთვას სძენს. ვფიქრობთ, მოხმობილ ლექსში, მეტაფორული ეპითეტის ნაწილად წარმოდგენილი რუხი ფერი („საოცრების რუხი ხაზები“), როგორც ტექსტის ერთ - ერთი დეტალი, ლექსის საერთო მინორულ განწყობილებას თავის „ხმას“ სძენს და მელანქოლიურ, სევდიან ფონს კიდევ უფრო აძლიერებს.

რუხ ფერზე საუბრისას, ბუნებრივია, ყურადღებას შევაჩერებთ ტერენტი გრანელის ლექსზე „ღამის მოუსვენრობა“, რომელშიც ვხვდებით „მტრედისფერს“.

ღამეა ჩუმი და მაღლა ნისლია.

და შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები.

რა ვქნა, გაფრენა მე არ შემიძლია,

რომ ვნახო ქვეყნის ყველა პლანეტები.

ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს უძახიან,

წმინდაო ღმერთო! მე დიდხანს გელოდი.

სული - სხეულის ჩუმი ტუსაღია,

სული - უცნობი, სული - ანგელოზი.

მოდის დღე ახალი და ნელა ბერდება,

აქ დუმილია, ალბათ იქ ტირიან.

გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება

და გრძელი ღამე ჩემი სიკვდილია.

მსურს წამოვიდეს დილა მტრედისფერი

და მივყვებოდე ქარში გასვენებას.

შუაღამეა, რაღაც ვერ ვისვენებ

და ახლა მინდა იყოს გათენება.

(გრანელი, 1972: 72)

აქ „მტრედისფერში“ რუხის შედარებით ღია შეფერილობა უნდა იგულისხმებოდეს. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ლექსში გამოხატული განწყობილება გვიქმნის, რომელიც ბოლო სტროფამდე ცვალებადია. მართალია, ძირითადი ფონი უფრო მინორულია, თუმცა, მაჟორული ტონი მცირედ მაინც საგრძნობია, განსაკუთრებით ლექსის დასასრულს. როგორც ვასილ კანდინსკი შენიშნავს, რაც უფრო მუქია რუხი, მით მეტად შეინიშნება მასში სულისშემხუთველი უიმედობა. გაღიავების შემთხვევაში კი, ამ ფერს თითქოს ჰაეროვნება ემატება, სუნთქვის საშუალება ეძლევა, რაც აჩენს ფარული იმედის ელემენტს (Люшер, 1910: http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-74.php#chapter).

სწორედ ფარული იმედი იჩენს თავს გრანელის მოხმობილი ლექსის ფინალში. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ლირიკული გმირის მიმართვის ადრესატი ღმერთია, რომელსაც დიდხანს ელოდა. „ღამის“, „შუაღამის“ რეალობით გარემოცულისათვის, გათენება, „დილა მტრედისფერი“, ერთის მხრივ, შეიძლება ფარულ იმედთან ასოცირდებოდეს, თუმცა მიუხედავად ამ ერთი შეხედვით დადებითი მიმართებისა, მტრედისფერი ინარჩუნებს ყველა იმ მნიშვნელობას, რასაც რუხი ფერი გამოხატავს ზოგადად: სევდა, დარდი, მელანქოლია, უძრაობა, გაორება, ასევე სიმშვიდე

(Кандинский, http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-74.php#chapter), სიკვდილი, გლოვა. ამაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ მტრედისფერი დილის მოლოდინი ქარში, გასვენების პროცესიისათვის გაყოლის სურვილს უკავშირდება, ანუ ლექსში ძირითად განწყობილებას მაინც მკვეთრად მინორული ემოციური ფონი ქმნის და თუნდაც, კონკრეტული ფერის სახით შემოტანილი მაჟორული ნოტი ტექსტის ზოგად სურათსა და განწყობილებას არ/ვერ ცვლის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრანელის ლირიკაში იშვიათად გამოყენებულ ფერთა შორისაა ვარდისფერი. ამ ფერს მხოლოდ ორ ლექსში ვხვდებით, „ფარული ვედრება“ და „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“. თავდაპირველად, ყურადღებას „ფარულ ვედრებაზე“ შევაჩერებთ.

სევდიან სარკეში და უცხო ღამიდან

სანთლებით მისდევენ ყვავები ამ აპრილს.

პოეტს გარინდებულს, როგორც პირამიდა,

ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს.

გუმბათებს აკივლებს ხატების ანთება,

ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოზების.

სამრეკლოს წუხილი რომ გაიფანტება,

ტაძარში შევდივარ მწუხარე ლოცვებით.

ჩემს ცოდვილ სავანეს ქაოსი ედება,

თითქოს ვარ სიზმარში და ირგვლივ ქვებია.

ჭლექიან ფერებით ბაღებში თენდება,

ჩემს ვიწრო ოთახში წამები ქრებიან.

ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება,

წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი.

ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება,

მთვარესთან ჩამოწვა უვნებო ფერვალი.

მე, ჩუმი, მივყვები ლანდების ასეულს,

ღამე უდაბნოა, ვნება კოშმარია.

ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს,

შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ.

(გრანელი, 1972: 15)

ქრომატული ვარდისფერი წითელი ფერის ერთ - ერთი ტონად მიიჩნევა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ის ყველაზე პასიური, თუმცა სიცოცხლის, ახალგაზრდობის ფერია

(https://psyfactor.org/color.htm; http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472; Серов, 2015: https://bookz.ru/authors/nikolai-serov/simvolik_310/page-3-simvolik_310.html).

ამცირებს აგრესიას, კეთილგანწყობის ინსპირატორია, ასოცირდება სიმშვიდესთან, გამოხატავს ინფანტილურობასა და სიმსუბუქეს. ამ თვისებათა გამო, ფსიქიატრიულ კლინიკებში იყენებენ ვარდისფერს მშფოთვარე პაციენტების დასამშვიდებლად (Обухов, https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/02.php).

მას სენტიმენტალურ გრძნობებსა და სისუსტესთანაც აკავშირებენ. ვარდისფერი სიმბოლურად: სიყვარულს, ერთგულებას, უბიწოებას, რომანტიკულობას, მეტისმეტ

მგრძნობელობას, უარყოფით კონტექსტში კი, ქარაფშუტობასაც აღნიშნავს (http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472; http://www.symbolarium.ru/index.php/%D0%A0%D0%BE%D0%B7%D0%BE%D0%Bხო2 %D1%8B%D0%B9_%D1%86%D0%B2%D0%B5%D1%82).

გრანელის ლექსში „ფარული ვედრება“ ვარდისფერი სარკეს უკავშირდება („ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება“). ამდენად, აქ ფერის კონოტაციურ მნიშვნელობასთან ერთად, სარკის სიმბოლიკაც გასათვალისწინებელია, მით უმეტეს, მაშინ, როცა ლექსის პირველივე სტრიქონში „სევდიან სარკეზეა“ საუბარი. დეტალი, ხომ მხატვრული ტექსტში ასახულ რეალობასთან კავშირით იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აზრობრივ დატვირთვას და არა, როგორც განყენებული ელემენტი. ამდენად, ცალკეულ სახეებსა, თუ დეტალებზე მსჯელობა, მათი გააზრება მხოლოდ ტექსტის საერთო სურათთან მიმართებითაა მიზანშეწონილი. სარკის მნიშვნელობა სცილდება მისი, როგორც მატერიალური საგნის ფუნქციურ დანიშნულებას. უძველესი დროიდან სხვადასხვა სამყაროთა დამაკავშირებლად მიიჩნეოდა, სიცოცხლესა და სიკვდილთანაც ასოცირდებოდა (ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია: http://sigils.ru/symbols/zerk.html; სიმბოლოთა მოკლე ენციკლოპედია: http://www.symbolarium.ru/index.php/%D0%97%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B0%D0 %BB%D0%BE).

როგორც სიმბოლოთა უმრავლესობა, სარკეც ამბივალენტური ბუნებისაა. იგი სამყაროს, ღმერთის, სიმართლის, გულწრფელობის (Трессидер, https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/174.php,

კირილეს და მეთოდეს მეგაენციკლოპედია: https://megabook.ru/article/%D0%97%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B0%D0%BB%D0%BE%20(%D1%81%D0%B8%D0%BC%D0%B2%D0%BE%D0%BB),

ასევე არანამდვილობისა და სიცრუის სიმბოლოცაა. შეესაბამება ცნობიერებას, ფიქრს. ერთდროულად, ასახვის ინსტრუმენტიცაა და თვითშეცნობისაც.

ქრისტიანობაში სარკე ღვთისმშობლის სახესაც უკავშირდება და ახალშობილი იესო ქრისტეს სიმბოლოცაა ფილოსოფიაში, განსაკუთრებით კი, აღმოსავლურ ფილოსოფიაში, სარკე სიცოცხლის შეცნობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა (კირილეს და მეთოდეს მეგაენციკლოპედია: https://megabook.ru/article/%D0%97%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B0%D0%BB%D0%BE%20(%D1%81%D0%B8%D0%BC%D0%B2%D0%BE%D0%BB).

გრანელის „ფარულ ვედრებაში“ თავს იჩენს მოდერნიზმის ესთეტიკის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: რეალობის ილუზორული ასახვა, სათქმელის მოუხელთებლობა. ჩვენთვის საინტერესო ფრაზებიც „სევდიან სარკეში“, „ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება“ ამავე კონტექსტშია გასააზრებელი. ეს ორი ფრაზა ერთმანეთთან მიმართებითაა აღსაქმელი. ნათელი ხდება, რატომ შეიძლება იყოს სარკე სევდიანია, მასში აირეკლება სურვილის დაბერება (ლეთოდიანი, 2015: 287), თუმცა, ვარდისფერისა და სარკის სიმბოლიკის, ასევე, ამ სახეებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური დამოკიდებულების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ რა იგულისხმება სტრიქონში - „ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება“. აქ ვარდისფერი არაა წარმოჩენილი დადებითი კონოტაციით, ვერ ვიტყვით, რომ ახალგაზრდობას, სიცოცხლეს, რომანტიკულობას, სიმშვიდეს, სიმსუბუქეს, სიყვარულს ან მსგავს მოვლენებს უკავშირდება, უფრო პირიქითაა, ვარდისფერი პასიური, უსიცოცხლო, ინფანტილურიც კია. სარკესაც დაკარგული აქვს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, თუ სიმბოლური მნიშვნელობით მინიჭებული მთავარი დადებითი ფუნქცია, აირეკლოს რეალობა, იყოს შემეცნების, ფიქრის, სიცოცხლის ამსახველი მხატვრული სახე. ამ შემთხვევაში, უფრო აბერაციასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სარკე ვარდისფერია და წესით, სიცოცხლესთან, ახალგაზრდობასთან შეიძლება ასოცირდებოდეს, სევდიანია და მასში სურვილი ბერდება. წინა პლანზე გადმოდის სარკის ნეგატიური მნიშვნელობა, რადგან იგი სევდიანი და უარყოფითად აღქმული ვარდისფერია, დაკარგული აქვს სიცოცხლის ასახვისა და თვითშეცნობის უნარი, უფრო სიკვდილთან ასოცირდება, ამიტომაც

ბერდება მასში არეკლილი სურვილი. ლექსის ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარე, სურვილს ვარდისფერ სარკეში ასახვისას, თავიდანვე არ აქვს ასრულების პოტენციის, რეალიზაციის შესაძლებლობა. ვფიქრობთ, ავტორის ვარდისფერთან დამოკიდებულებას, მის უარყოფითი მნიშვნელობით აღქმა-წარმოჩენას უკავშირდება და ერთგვარად ხსნის კიდეც, ლექსის კიდევ ერთი სტრიქონი - „ჭლექიან ფერებით ბაღებში თენდება“, ანუ გათენება ახალი დღის, მოსალოდნელი სიახლის დასაწყისთან არ ასოცირდება. გათენების ფერები „ჭლექიანია“, არ უკავშირდება სინათლეს, მომავლის პოზიტიურ განცდას, ეს ბუნებრივიცაა, ლექსის ფინალის მიხედვით. ლირიკული გმირი მიუსაფარია, ესაა მისი როგორც გარეგანი, ისე, შინაგანი მდგომარეობა (მე, ჩუმი, მივყვები ლანდების ასეულს/ღამე უდაბნოა, ვნება კოშმარია/ ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს/შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ).

ცხადია, რომ ლექსის საერთო განწყობილებიდან გამომდინარე, ერთგვარად ლოგიკურიც კი ჩანს ლირიკული გმირის ვარდისფერთან დამოკიდებულება.

„მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ გრანელის მეორე ლექსია, რომელშიც ასევე ვხვდებით ვარდისფერს.

საოცრება წარსული, ეშაფოტზე ასული,

ჩქარი და მოქანცული სიკვდილს არ ვენანები.

ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება

და იწვევს გაოცებას შორეული ალები.

მოგელოდა შენ გზები, როგორც ანგელოზები

და უმანკო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა.

როგორც ლურჯი პარიკებს, ღამე ფიქრებს არიგებს

და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან.

გადავყევი ამ მიზანს და ვედრებას ღამისას,

ო, უფალი დამიცავს კვირეების კეცაზე.

ნუგეშს რომ ვეზიარო, შენთან ვარჩევ სიარულს,

სული ერთვის სიხარულს როიალის კვნესაზე.

დავრჩი ბედის კუთხეში, ბრბო მიცქერის უხეში,

მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით.

მირაჟების კრებული არის გათეთრებული

და მე გაფითრებული შენსკენ მოვექანები.

მიპყრობს ავი ზმანება, თვალი ცრემლებს დანებდა,

ასე კვდება ზარებთან ყვავილების სერია.

ვხედავ უცხო დარბაზებს და სიბნელე მაბრაზებს,

რატომ მე არ მაფასებს თარსი პერიფერია.

მოგელოდა შენ გზები, როგორც ანგელოზები

და უმანკო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა.

როგორც ლურჯი პარიკებს, ღამე ფიქრებს არიგებს

და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან.

(გრანელი, 1972: 33)

ამ ლექსში ვარდისფერი არ წარმოჩნდება იმგვარი უარყოფითი მნიშვნელობით, როგორც წინა შემთხვევაში, თუმცა, არც მკვეთრად დადებით ემოციებსა, თუ განწყობილებასთან ასოცირდება, და შეესაბამება ლექსის საერთო მელანქოლიურ

ფონს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სტროფსა და მეოთხე სტროფის დასაწყის სტრიქონებში განწყობილება თითქოს ცოტათი იცვლება და იმედის, ნუგეშის „მარცვალი“ ჩნდება, მაგრამ, საერთო ჯამში, ლექსში მაინც სევდიანი განცდები დომინირებს. არა მხოლოდ ვარდისფერი, არამედ აქ გამოყენებული სხვა ფერებიც (ლურჯი, თეთრი, გაფითრებული) უარყოფითი კონოტაციითაა გააზრებული.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მოდერნიზმის ესთეტიკაში მხატვრული სივრცის კონსტრუირებისას ერთ - ერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს ფერსაც. მას კოდის ფუნქციაც აქვს და ამდენად, შეიძლება გარკვეული ინფორმაციას გადმოგვცემდეს. წარმოდგენილი ფერების რეცეფციის საფუძველზე შევეცადეთ გამოგვევლინა ის პრობლემატიკა, რომელზეც შეიძლება მიგვანიშნებდეს ტერენტი გრანელის ლირიკის ფერითი წყობა. რუდოლფ არნჰაიმი აღნიშნავს, რომ ფერთა შესახებ ლექსიკონებში ინფორმაცია ემყარება გარკვეული ტიპის შეთანხმებებს, რომლებიც ვარირებს ერთი კულტურიდან სხვა კულტურაში, თუმცა ასევე არსებობს ფერთა გარკვეული, შინაგანი თვისებები, რომლებიც ეფუძნება სინათლის ტალღების სიგრძეზე ადამიანთა ნერვული სისტემის განსხვავებულ რეაქციებს. ამდენად, გრანელის ლირიკაში ფერების გააზრება ამ თვალსაზრისითაც საინტერესოდ გვეჩვენება. შერჩეულ ფერებზე მსჯელობის შედეგად, ვფიქრობთ აშკარად ჩანს, რომ გრანელს ცნობიერ, თუ არაცნობიერ დონეზე აქვს გარკვეული ინფორმაცია მათთან დაკავშირებით საზოგადოების კულტურულ მეხსიერებაში დამკვიდრებულ მიმართებებზე, თუმცა მის ლირიკაში ასევე ვლინდება ფერებისადმი მკვეთრად ინდივიდუალური დამოკიდებულება. ვინაიდან ფერი სამყაროს შეცნობის, მისი მოწყობის საშუალებად, ემოციების, განწყობილებების, თუ სხვა ტიპის განცდების გამომხატველად მიიჩნევა, გასაკვირი არ არის, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედებაში, უმეტესად, აქტუალიზებულია ფერთა უარყოფითი მნიშვნელობები, განურჩევლად იმისა, ესა, თუ ის ფერი როგორი სიხშირით გვხვდება მის ლირიკაში. ვფიქრობთ, გრანელის ფერებთან დამოკიდებულება სამყაროს მისეულ აღქმას

უკავშირდება, მისთვის რეალობასთან, გარემოსთან მიმართება არ იყო ჰარმონიული, სტაბილური, ან ნეიტრალური, მისი შინაგანი მდგომარეობა და განწყობილებები წინააღმდეგობრიობით, დიდწილად მელანქოლიურობით გამოირჩევა. შესაბამისად, მისი ლირიკის ძირითადი მოტივები: სიკვდილს, მარტოსულობას, მიუსაფრობას, უიმედობას უკავშირდება. ბუნებრივია, მისი მსოფლაღქმა და განცდები ვლინდება ფერებთან დამოკიდებულებაშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

გრანელი ტერენტი, ლირიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972 ;

ლეთოდიანი გუბაზ, ტერენტი გრანელის „ფარული ვედრება. სტროფიკა და ქრონოტოპი“. ლექსმცოდნეობა. ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მერვე სამეცნიერო სესია (მასალები). თბ., 2015;

ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია: http://sigils.ru/symbols/zerk.html;

Белый А. Символизм как миропонимание. http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/bel/;

Вежбицкая А. Язык. Культура. Познание. М.,1996.
http://www.philology.ru/linguistics1/wierzbicka-96b.htm

Иттен Иоханнес. Исскуство цвета.
https://vk.com/doc-21974283_233051160?dl=1776aa24179b123421ferTa;

Кандинский В. В. "О духовном в искусстве". 1910 г.
http://www.wassilykandinsky.ru/book-116-10-73.php;

Универсальная энциклопедия Кирилла и Мефодия
https://megabook.ru/article/%D0%97%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B0%D0%BB%D0%BE%20(%D1%81%D0%B8%D0%BC%D0%B2%D0%BE%D0%BB;

Люшер Макс. Цветовой тест Люшера. http://www.test-lushera.ru/colors/blue/;

Обухов Я.Л. Символика цвета, https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Psihol/Obuh_Sim/02.php;

Серов Николай. Символика цвета; 2015

https://bookz.ru/authors/nikolai-serov/simvolik_310/page-3-simvolik_310.html;

Энциклопедия Символы и знаки. sigils.ru/symbols/zvet.html;

Краткая энциклопедия символов

http://www.symbolarium.ru/index.php/%D0%97%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B0%D0%BB%D0%BE;

Трессидер Д. Словарь символов.

http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/655.php;

https://psyfactor.org/color.htm; http://www.psynavigator.ru/articles.php?code=472.